პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 171 (13253) | ხუთშაბათი, 22 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ლეილა ლაშხიას წარმატება

ჩაი ზუგდიდის რაიონის კორცხელის კომუნიზმის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მეურნეობის წამყვანი კულტურაა. სოფელ კორცხელის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი არტელია რაიონში — მას მრავალი სახელგანოქმული მეჩაიე ჰყავს; მოწინავე მეჩაიეთა შორის არის მეხუთე ბრიგადის ახალგაზრდა მკრეფავი ლეილა ლაშხია. გოგონა სიმწიფის ატესტატით მივიდა მშობლიურ კოლმეურნეობაში და მალე დაიმკვიდრა ბეჯითი ჩაის მკრეფავის სახელი.

ლეილას 0,4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აბარია მოსავლელად. მუყაითი შრომის შედეგად ბუჩქებს მზრუნველობა არ აკლია. ლ. ლაშხიამ წელს ვალდებულება იკისრა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 4 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოწინავე ქალიშვილი პირნათლად ასრულებს სიტყვას — ყოველდღიურად კრეფს 50-60 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს და სეზონის დაწყებიდან უკვე მოკრეფილი აქვს ორი ათას კილოგრამზე მეტი. სურათზე: ლეილა ლაშხია.

ფოტო ო. თოფურიასი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება

რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობისადმი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმება რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დელეგატებს, ძმურ სალამს უძღვნის რუმინელ კომუნისტებს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს და უსურვებს წარმატებებს ყრილობის მუშაობაში.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა, ნათქვამია შემდეგ მისასალმებელ წერილში, აჯამებს პარტიისა და ხალხის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პერიოდის შედეგებს. სოციალიზმმა მთლიანად გაიმარჯვა რუმინეთის მიწა-წყალზე. კიდევ უფრო განმტკიცდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ძმურ ურთიერთობას, რომელიც მათ რუმინელ მშრომელებთან აკავშირებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევი პრინციპები, ხელს უწყობს ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის განმტკიცებას, სავსებით შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს, ემსახურება სოციალისტური ქვეყნების შემდგომი შეკავშირების კეთილშობილურ მიზნებს, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმეს.

◆

გულითადი მილოცვა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 21 წლისთავის გამო საკავშირო პროფსაბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

განვლილი წლების მანძილზე სახალხო პოლონეთის მშრომელებმა, ნათქვამია დეპეშაში, შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის მუშათა და მოსამსახურეთა სახელით საკავშირო პროფსაბჭომ პოლონეთის პროფკავშირებსა და მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, სოციალიზმის ქვეყნების მსოფლიო თანამეგობრობის ერთობისა და შეკავშირებისა თვის, უშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).



კენსიმები კოლმეურნეებს

ახალციხე. (საკ. კორ.). წინასწარი მონაცემებით ახალციხის რაიონში პენსიებს მიიღებს 4.500-მდე კოლმეურნე. ყველა კოლმეურნეობაში შექმნილია საკოლმეურნეო სოცუზრუნველყოფის საზოგადოებრივი საბჭო. უკვე 2.200-ზე მეტ კოლმეურნეს დაენიშნა მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიები.

ყოველთვიურად კოლმეურნეთა პენსიებზე რაიონში გაიცემა 28 ათასი მანეთი. წლის ბოლოსათვის პენსიის თანხა ერთიორად გაიზრდება.

„აგრონომის დღე"

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის სამმართველოში სისტემატურად ეწყობა „აგრონომის დღე", რომელსაც ესწრებიან რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომები. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ დღეებში მოწყობილ „აგრონომის დღეზე" შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე. მან ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახლანდელ საბრძოლო ამოცანებსა და აგროპერსონალის მუშაობაზე.

დროშა მეოთხედ შეინარჩუნეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ მიღებულია ცნობა, რომ ციკავშირის ქუთაისის სასურსათო კომბინატმა, რომელიც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა, ზედიზედ მეოთხედ შეინარჩუნა ციკავშირის გამგეობის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საბჭოთა საქართველოში

1968 წლის ანგარიშში

სტუმრად მეგობრებთან

ბიათურა. (საკ. კორ.). მესამედი საუკუნეა მეგობრობენ ერთმანეთთან ქართველი და უკრაინელი მაღაროელები. ჩვენი ქვეყნის მარგანეცის ორი უდიდესი საბადოს — ჭიათურისა და ნიკოპოლეს მშრომელები შეჯიბრებაში ჰყენენ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

მეტალურგის დღის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ნიკოპოლში გაემგზავრა ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია, რომელშიც 12 კაცი შედის. დელეგაციას ხელმძღვანელობს მარგანტრესტის შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი დ. გაბუნია. დელეგაციაში შედიან წარჩინებული მაღაროელები, კომუნისტური შრომის დამკვრელები.

ჭიათურელ მაღაროელთა დელეგაცია შეამოწმებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, გაეცნობა ახალ სამთო ტექნიკასა და ნიკოპოლელთა გამოცდილებას. ჭიათურელები უკრაინაში ათ დღეს დაყოფენ, ინახულებენ დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს ღირსშესანიშნავ ადგილებს.

..აგრონომის დღე"

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის სამმართველოში სისტემატურად ეწყობა „აგრონომის დღე", რომელსაც ესწრებიან რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრონომები. ისინი ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

ამ დღეებში მოწყობილ „აგრონომის დღეზე" შეკრებილთ ესაუბრა საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოიძე. მან ილაპარაკა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ახლანდელ საბრძოლო ამოცანებსა და აგროპერსონალის მუშაობაზე.

დროშა მეოთხედ შეინარჩუნეს

ქუთაისი. (საკ. კორ.). აქ მიღებულია ცნობა, რომ ციკავშირის ქუთაისის სასურსათო კომბინატმა, რომელიც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა, ზედიზედ მეოთხედ შეინარჩუნა ციკავშირის გამგეობის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

რესპუბლიკის საწარმოებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. მრეწველობის მუშაკები ყოველდღიურად უპატაკებენ დედა-სამშობლოს ახალ გამარჯვებებს.

შეიდწლედის ამოცანათა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულებისათვის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" კოლექტივი, რომელმაც ექვსი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ამ ქარხანაში ბევრია მოწინავე ცალკეული პროფესიის ადამიანი, რომელთაც გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ძლიერებაში. ისინი თავდადებულად შრომობენ და კიდევ უფრო ამრავლებენ წარმატებებს, თავდადებით იცავენ მშობლიური საწარმოს დირსებას. ბევრმა მათგანმა გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედით გათვალისწინებული ყველა დავალება.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. პილაძემ გადაიღო, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" საიაარაღო საამქროს მოარავი კომუნისტი ვახტანგ კოლელიშვილია აღბეჭდილი. მან დროს გაუსწრო. დიდი ხანია შეასრულა შვიდწლედით გათვალისწინებული საწარმოო გეგმა და ახლა პროდუქციას 1968 წლის ანგარიშში იძლევა.

სად რეგორ მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა

ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა კარგად იციან, რომ ივლისი ძირითადად გადაწყვეტს ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულების შესრულების ბედს. ამიტომ ახლა დაძაბული შრომაა გაჩაღებული ჩაის პლანტაციებში. ივლისის ოც დღეში ერთგვარი წარმატებაც არის. ივლისის გეგმით გათვალისწინებული 40.704 ტონიდან მოკრეფილია 31.680 ტონა, ანუ დავალების 77,8 პროცენტი. შარშან კი ივლისის დავალება ამავე პერიოდში შესრულებული იყო 61,1 პროცენტით.

მაგრამ თუ გადავხედავთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებს, 20 ივლისისათვის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 111.389 ტონა ჩაის ფოთოლი. შარშან ამავე პერიოდში 6.946 ტონით მეტი იყო მოკრეფილი. წელს წლიური გეგმის შესრულება უდრის 60,2 პროცენტს. შარშან 67.6 პროცენტს შეადგენდა.

ჩანს, ჩვენმა მეჩაიეებმა ყველაფერი ვერ გააკეთეს იმისათვის, რომ ივლისის მეოთხე ხუთდღიერში მეტი წარმატება მოეპოვებინათ. ამის გამო აღინიშნულ ხუთდღიერში მოკრეფეს 8.763 ტონა, ეს მაინც ცოტაა, აუცილებელია კრეფაში მკვეთრი გარღვევის შეტანა.

ამჟამად რა მდგომარეობაა რაიონების მიხედვით ჩაის კრეფაში?

20 ივლისისათვის **გალის** რაიონში ივლისის გეგმა შესრულებულია 70,9 პროცენტით, **ოჩამჩირის** — 79,4, **გუდაუთის** — 53,4, **გულრიფშის** — 69,5 **ქობულეთის** — 79,9 **ბათუმის** — 82,4, **ქედის** — 96,8, **მახარაძის** — 69,8, **ზუგდიდის** — 71,1, **წალენჯიხის** — 85,1, **ლანჩხუთის** — 77,3. **გეგეჭკორის** — 82,6, **ჩხოროწყუს** — 87,5, **ჩობალავრის** რაიონში — 76.4, **ტყიბულში** — 87.8. **წყალტუბოს** რაიონში — 102,2, **წულუკიძის**—90,5, **ცხაკაიას** — 97,4, **ხობის** — 100,3, **სამტრედიის** — 97,2, **აბაშის** — 90, **თერჯოლის** რაიონში — 130. **ჭიათურაში** — 60, **ვანის** რაიონში — 95,5, **ზესტაფონის** რაიონში კი 45,5 პროცენტით.

მთელი ძალები ჩაის ფოთლის კრეფის ფრონტზე! არ დავუშვათ არცერთი კილოგრამი ჩაის ფოთოლის დანაკარგი. მოვიპოვოთ ახალი გამარჯვება!

ახალ წარმატებებს უსურვებენ პოლონელ ხალხს

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 21-ე წლისთავის გამო ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ი. მიკოიანმა და ა. ნ. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ამხანაგებს ვ. გომულკას, ე. ოხაბს და ი. ცირანკევიჩს.

პოლონელი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით, ნათქვამია დეპეშაში, პოლონეთი გახდა სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც აქვს დიდადგანვითარებული ეკონომიკა და კულტურა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად იცავს მშვიდობის საქმეს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მტკიცედ გადაეღობოს გზა აგრესიისა და ომის ძალებს, უზრუნველყოს მშვიდობა და ხალხთა უშიშროება.

საბჭოთა ადამიანები, ხაზგასმულია შემდეგ დეპეშაში, დიდი კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხების ურღვევი და სულ უფრო მზარდი მეგობრობა და ყოველმხრივ თანამშრომლობა ძალის

მოსკოვი, 20 ივლისი. (საკდესის კორ.). ჩვენი ქვეყნის ხელსაწყოთმშენებლებმა ნახევარი წლით ადრე შეასრულეს შვიდწლედის დავალება. ეს აცნობეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ხელსაწყოთმშენებლობის. ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სახელმწიფო კომიტეტში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სპეციალისტებმა დაამთავრეს მეტალურგიის, ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოო პროცესების მართვის დიდი სისტემების შექმნა.

ნოვომოსკოვსკის ქიმიურ კომბინატში, მაგალითად, ყველა პროცესს, მათ შორის ისეთ რთულ პროცესს, როგორიცაა ამიაკის წარმოება, ავტომატები მართავენ.

ელექტრონული მანქანა „დნეპრი", რომელსაც აქვს სპეციალური მოწყობილობა, გამოყენებულია რამდენიმე მეტალურგიულ ქარხანაში.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მუშაობას უნიფიცირებული სამართავი მანქანების შექმნისათვის, რომლებიც გამოიარჩევიან მაღალი საიმედოობით. ასეთი მანქანებიდან ბევრ-ბევრ ადგილას, ეს ეკონომიკურ სასარგებლოა. ეს ეფექტი ბევრ ადგილას ადამიანთა ფიზიკურ შრომას ანაცვლებს.

ამ ეტაპზე ავტომატიზაციის ეფექტი ძალიან ბევრ ადგილას ადამიანთა ფიზიკურ შრომას ანაცვლებს.

ეს ეფექტი ბევრ ადგილას ადამიანთა ფიზიკურ შრომას ანაცვლებს.

ხელსაწყოთმშენებელთა წარმატებანი

ბოლო ორ-სამ კვარტალში ავტომატიზაციის ეფექტი ბევრ ადგილას ადამიანთა ფიზიკურ შრომას ანაცვლებს.

ეს ეფექტი ბევრ ადგილას ადამიანთა ფიზიკურ შრომას ანაცვლებს.

დაუგავა დაიმორჩილეს

რიგა. (საკდესის კორ.). პლიავინის ქიმიურელექტროსადგურის მშენებლებმა შეუტიეს დაუგავას. მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა, რომ ენახა ეს განუმეორებელი სანახაობა.

ლიმანში რკინა-ბეტონის პირველი ღობის ჩაგდების პატივი წილად ხვდათ საუკეთესო მძღოლებს ბორისლავ რაუკიისს და ვალენტინ სპოდარევს. ლატვიის ჰიდრომშენებელთა დასახმარებლად კიევ-კომსომოლსკის ჰიდროელექტროსადგურიდან 50 მძღოლი ჩამოვიდა. ლატვიელები მათ დაეხმარნენ დნეპრის გადახიდვაში, ხოლო ახლა უკრაინელი მძღოლები მონაწილეობენ დაუგავის გადახიდვაში.

დადგა საზეიმო მომენტი. ლიმანში ცვივა რკინა-ბეტონის უკანასკნელი ღოდები. ღოდებს აყრიან მიწას და ახალწარმოქმნილ ზღუდარზე მშენებლები ვაშას ძახილით ეხვევიან ერთმანეთს, კოცნიან.

დაუგავა დაიმორჩილეს! სწრაფი მდინარე ახლა, ხელოვნურ რკინა-ბეტონის კალაპოტში ჩადგა, რომელიც პლიავინელ ჰიდრომშენებელთა სამიათასიანმა არმიამ შექმნა. უკვე წელს მდინარე ათი მძლავრი ტურბინიდან ხუთს აამუშავებს. ეს შესანიშნავი საჩუქარია „დაუგავაჰიდროშმენის" მრავალეროვანი კოლექტივისა საბჭოთა ლატვიის 25 წლისთავისათვის.

მოსკოველ მშენებელთა ექსპერიმენტი

მოსკოვი. (საკდესის კორ.). სახელმწიფო კომისიამ კარგად შეაფასა საექსპლოატაციოდ ჩაბარა 12 სართულიანი ვიბრონაგლინი პანელით ნაშენი საექსპერიმენტო საცხოვრებელი სახლი ჩაღლოვის ქუჩაზე. აქ არის ერთი, ორი, სამი და ოთხოთახიანი კეთილმოწყობილი 321 ბინა. შვიდიერთ ერთ-ერთ ბინაში. დიდი წინოთახი. გემოვნებით მოპირკეთებული ოთახები. სასიამოვნო შპალერები კედლებზე. მცხოვრებლებს მოეწონებათ კედლში ჩაშენებული ტანსაცმლის, ჭურჭლის, მტვერსასრუტის, იატაკსაწმენდის, სარეცხი მანქანის კარადები. მცხოვრებლებს მოემსახურება უახლესი კონსტრუქციის უხმაურო ლიფტები.

სახლში უკვე ჩასახლდა ხალხი.

— ვიბრონაგლინი პანელით ნაშენი ხაცხოვრებელი სახლები პროგრესული საქმეა, თქვა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის II სამმართველოს ბიუროს უფროსმა ბ. ი. დოლინსკიმ. ასეთი სახლები სწრაფია მრავალსართულიან კარკასიან შენობებს. აქ გაცილებით მეტი სასარგებლო საცხოვრებელი ფართობია. უჩვეულოა თვით სახლის მონტაჟი. მას სჭირდება 400-ზე მეტი ელემენტი — რკინაბეტონის კედლის პანელები, გადახურვები, სვეტები, რიგელები. ეს ელემენტები საიმედოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული მტკიცე ანტიკოროზიული ჭანჭიკებით.

ძალიან ამ სახლის გვერდით გაჩნდება ახალი სამშენებლო მოედანი. აქ დაიწყება კიდევ ერთი ასეთი საცხოვრებელი სახლის მონტაჟი.

ჩვენს ღიად საკავშირიში

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილოგაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, მთელი ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალე ძმურ სალამს ვუძღვნით რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დელეგატებს, სოციალისტური რუმინეთის ყველა კომუნისტსა და მშრომელს. სულით და გულით ვუსურვებთ, აბჯანაგებო, წარმატებითს მუშაობას ყრილობას, რომელსაც — ეს ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას — უდიდესი მნიშვნელობა აქვს თქვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დიდი ინტერესით მოისმინა ამხანაგ ჩაუშესკუს მოხსენება, სხვა ამხანაგების მოხსენებანი და სიტყვები. ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალმავლობის, ენთუზიაზმისა და ამავე დროს პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაწყვეტისადმი საქმიანი, კონკრეტული მიდგომის ვითარება, რომელიც ყრილობაზე სუფევს.

თქვენი ყრილობა მოასწავებს რუმინეთის შესვლას სოციალისტური გზით განვითარების მესამე ათწლეულში. მოკლე ისტორიულ ვადაში სოციალიზმმა გაიმარჯვა ქალაქში და სოფლად. ამ გამარჯვების ნაყოფს გვედავთ ყველგან რუმინეთში: ეს არის მძლავრი სამრეწველო ნაგებობები, მზარდი სოფლის მეურნეობა, ქალაქებისა და სახოფლო დაბების კეთილმოწყობილი უბნები, ეზოური ჭანმრთელობის კერები შავი ზღვის სანაპიროზე. ყოველივე ამაში ჩაქსოვილია ხალხის დიდი შრომა. ტალანტი და შთაგონება. ყოველივე ამას საფუძვლად უდევს უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა რუმინელი კომუნისტებისა, რომელებსაც მტკიცე რწმენით მიჰყავთ თავიანთი ქვეყანა სოციალიზმის ფართო და ნათელი გზით.

ახლა რუმინელი ხალხი იწყებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ცხოვრების დონის ამაღლების კიდევ უფრო რთული და დიდი ამოცანების გადაწყვეტას. ჩვენ თქვენთან ერთად დარწმუნებული ვართ, რომ გეგმები, რომლებიც რუმინეთის კომუნისტურმა პარტიამ მშრომელი მასების მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეიმუშავა, წარმატებით განხორციელდება. ვუსურვებთ მოძმე რუმინელი ხალხსა და მის მებრძოლ ავანგარდს — რუმინელი კომუნისტების პარტიას ახალ ხახელოვან წარმატებებს სოციალიზმის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ გვსურს ამ მაღალი ტრიბუნიდან ვთქვათ ყველაზე მთავარი, რაც ახლა მთელი მსოფლიოს კომუნისტებს აღელვებს, რაზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი შემდგომი გამარჯვებანი — ის, რომ საჭიროა მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობა და სოლიდარობა.

ჩვენი მოძრაობის დიდი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — წარმოიშვა მეცნიერული კომუნიზმის შესახებ პირველ სიტყვებთან ერთად. ამ ლოზუნგით რევოლუციურმა მუშათა კლასმა მიაღწია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლებში. ინტერნაციონალიზმის დროშით გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ჩამოყალიბდა და ძლიერდება სოციალისტური სახელმწიფოების მსოფლიო სისტემა. ინტერნაციონალიზმი გახდა თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების შეკავშირების მძლავრი ფაქტორი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

საერთო მოქმედება ყოველთვის ამრავლებდა და ამრავლებს რევოლუციური მოძრაობის ძალებს. მაგრამ დღეს ერთიანობა განსაკუთრებით საჭირო. რამდენიმე წლის წინათ კომუნისტურმა პარტიებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე განუხრელად იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ. ეს დასკვნა ნავსებით დადასტურდა. მას შემდეგ განვლილი წლები იყო სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერების შემდგომი ზრდის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი „ და მუშათა მოძრაობის განვითარების წლები. პროგრესული ძალები შეტევაზე გადავიდნენ და, რასაკვირველია, რეაქციონერები მათ ვერ შეაჩერებენ.

ძველი სამყარო, ადამიანთა ექსპლოატაციისა და ხალხთა ჩაგვრის სამყარო განწირულია. მაგრამ იმპერიალიზმი უბრძოლველად როდი აპირებს პოზიციების დათმობას. იგი იღრინება, ცდილობს კონკრეტრიშზე გადმოვიდეს, მზად არის ჩაიღინოს ყოველი დანაშაული, ოღნდ კი შეინარჩუნოს ბატონობა. რაც უფრო მტკიცე იქნება ჩვენი სოლიდარობა, მით უფრო ადვილად შეებოჭავთ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებას, მით უფრო ნაკლები იქნება ხალხთა დაკაკარგი და მსხვერპლი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთიანობა განსაკუთრებით საჭიროა ღღეს, როცა შეერთებული შტატები ახორციელებენ თავზედურ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, დომინგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, უხეშად თელავენ კონგოელი ხალხისა და სხვა ხალხების უფლებებსა და საარსებო ინტერესებს, როცა დასავლეთ გერმანიაში იმავე ამერიკელი იმპერიალისტების მხარდაჭერითა და წაქეზებით სახავენ რევანშის გეგმებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას ევროპაში.

ჩვენ ვიცით, რომ ამ სამარცხვინო საქმეში ამერიკელმა და სხვა რეაქციონერებმა ვერ მიაღწიეს და ვერც მიაღწევენ მიზანს. ისინი ვერ დაარჩენენ ვერ ვიეტნამელ ხალხს, ვინაიდან მისი საქმე სამართლიანია და იგი თავდადებით იცავს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა სოციალისტური ქვეყნების ძლიერება, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ეხმარებოდა და კვლავაც დაეხმარება თავის ვიეტნამელ ძმებს აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. უეჭველია, რომ აგრესიის გაფართოების ყოველი ცდა წააწყდება სოციალისტური სახელმწიფოების კიდევ უფრო ერთსულოვან და მტკიცე წინააღმდეგობას, და თუ, საღი აზრის საწინააღმდეგოდ, ამერიკელი ინტერვენტები ახალ ავანტიურებს განახორციელებენ, ისინი იგებენ ჩვენი ერთიანობისა და ჩვენი შეკავშირების ძალას.

ძვირფასო ამხანაგებო!

თანამედროვე პირობებში ინტერნაციონალიზმის იდეამ თითქოს უფრო გაფართოვა თავისი საზღვრები, მას სულ უფრო უნივერსალური ხასიათი ენიჭება. ლენინის სიცოცხლეშივე საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ ელადიმერ ილიას-ძის მოწონებით ლოზუნგს „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" დაუმატა მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა და ჩაგრული ხალხებო, შეერთდით!". ამ მოწოდებაში აისახა ის უდავო ფაქტი, რომ ერთმანეთს ემთხვევა საერთაშორისო მუშათა კლასის, სოციალისტური ქვეყნების ხალხებისა და იმ ხალხების ძირეული ინტერესები, რომლებიც იბრძვიან, რათა საბოლოოდ მოიშორონ იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის უღელი. იბრძვიან რა იმპერიალისტთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ჩაახშონ განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამით კომუნისტები იცავენ წმიდათაწმიდა პრინციპებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა გამოაცხადეს, იცავენ თვითეული ხალხის უფლებას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი ბედი.

ჩვენს დროში იქმნება შესაძლებლობა ინტერნაციონალიზმის იდეების უფრო ფართო გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს ჩაახშოს განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამით ხელყოფს საერთაშორისო უშიშროებას, ქმნის საფრთხეს, რომ კაცობრიობას თავს დაატყდეს თერმოატომური ომის უბედურება. მშვიდობის საქმისა და სოციალური პროგრესის საქმისათვის საფრთხე ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ცივილიზაციის ბედი, ერთიანდება, რათა წინააღუდგეს იმპერიალისტ აგრესორებს.

ჩვენ, კომუნისტები, ვამაყობთ იმით, რომ მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების ავანგარდშია კომუნისტური მოძრაობა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა ხალხთა წინაშე. პირნათლად რომ შეასრულონ თავიანთი ისტორიული მისია, კომუნისტური მოძრაობა, მსოფლიოს სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობა უნდა შეკავშირდნენ. კომუნისტურ და მუშათა პარტიებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ შეხედულებათა ეს სხვაობა ხელს ვერ შეუშლის და არც უნდა უშლიდეს მოძმე პარტიებს ვაერთიანებულ მოქმედებას, სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულ მოქმედებას ჩვენი საერთო დიდი მიზნებისათვის ბრძოლაში.

გვახარებს, რომ ამხანაგმა ჩაუშესკუმ თავის მოხსენებაში ენერგიულად გაუსვა ხაზი, რომ საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა და სოციალისტური ქვეყნების, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირება, რაც მხურვალედ მოიწონა ყრილობის ყველა დელეგატმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტების სახელით ვაცხადებთ, რომ ჩვენი პარტია ძალლონეს არ დაიშურებს, რათა განმტკიცოს და განვითაროს ძმური ურთიერთობა სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან. აქ, რუმინელი კომუნისტების ყრილობაზე, ჩვენ გვსურს უწინარეს ყოვლისა ქმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ ჩვენი პარტიები ერთი აზრისა არიან თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შეფასებაში.

ჩვენ გვაერთიანებს სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი საქმისადმი უდიდესი ერთგულება, იმპერიალისტი აგრესორებისადმი, ხალხთა თავისუფლების ჩამბზობებისადმი საერთო სიძულვილი, იმის ღრმა რწმენა, რომ უნდა განვამტკიცოთ დედამიწაზე მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის მთელი ძალების ერთიანობა.

ჩვენს ქვეყნებს შორის მტკიცდება პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. ხორციელდება თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო ეკონომიური თანამშრომლობა, ურთიერთსასარგებლოდ ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებდით და ახლაც ვუზიარებთ სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას. სხვა მოძმე ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე ვიცავთ სოციალისტური თანამეგობრობის საერთო ინტერესებს, ხალხთა განმათავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლასა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხებს შორის, საბჭოთა და რუმინელ კომუნისტებს შორის დიდი ხანია არსებობს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა. რომელსაც საფუძვლად უდევს ინტერესთა ღრმა ერთობა. ჩვენ ვუცხადებთ რუმინელ კომუნისტთა ყრილობის დელეგატებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც განუხრელად დაიცავს სსრ კავშირისა და სოციალისტური რუმინეთის ძმური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების კურსს.

დაე მტკიცდებოდეს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი ჩვენი ს

პარტიული ბიუროს წევრი



მაღაროს პარტიული ბიუროს სხდომაა. ცხარედ, მაგრამ საქმიანად მსჯელობენ. დღის წესრიგშია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მარგანეცის თვითღირებულების შემცირების საკითხი. იგი კომუნისტმა ინჟინერ-ნორმადადრმა ვენერა გელაშვილმა მოამზადა. მან დაწვრილებით ილაპარაკა გამოუყენებელი რეზერვებზე, მოითხოვა მათი დაჩქარებით ამოქმედება.

სიტყვა აიღო პარტიული ბიუროს წევრმა, მადნის სატვირთი ელექტრომანქანის დახელოვნებულმა მემანქანემ ანდრო დვალაშვილმა. იგი აქტიურად მონაწილეობდა საკითხის მომზადებაში და აუცილებლად ჩათვალა, რომ აზრიც გამოეთქვა.

— ძვირფას სამთო ტექნიკას გონივრულად, სრული დატვირთვით ვერ ვიყენებთ, — თქვა მან, — მექანიზმების სათადარიგო ნაწილები დროულად არ მოგვდის, ზოგჯერ მაღაროში რკინიგზას უხეიროდ აგებენ. ეს იწვევს ელმავლებისა და ვაგონების მოძრაობის შეფერხებას, დიდ მოცდენებს. ზოგჯერ უყაირათოდ ვმუშაობთ, მომპირნეობით ვერ ვხარჯავთ მასალებს, ელექტროენერგიას. მექანიკოს შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის ჯალამბარი სამაგრი მასალის მეორედ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ გულწრფელად თუ ვიტყვით, მის შეუფასებლობას ვიჩენთ. აბა რომელ უბანში ან ცვლაშია ეს მექანიზმი დატვირთული? მოგეხსენებათ, ყველაფერი ეს ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ზრდის მარგანეცის თვითღირებულებას. ასეთი მუშაობა არ გვეპატიება...

პარტბიურომ კონკრეტული დადგენილება მიიღო. ამავე საკითხზე უფრო დაწვრილებით იმსჯელა პარტიულმა კრებამ. მის მომზადება-განხილვაში მონაწილეობდნენ ინჟინერები, ეკონომისტები, წარმოების ნოვატორები. ა. დვალაშვილმა პარტიულ კრებაზეც გამოთქვა თავისი მოსაზრებები და შენიშვნები.

კომუნისტებმა საქმიანი ღონისძიებები დასახეს და მათ შესასრულებლად მაღაროს მთელი კოლექტივი დარაზმეს. ახლა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი შრომის ნაყოფიერების დავალებას საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს, ამცირებს მადნის თვითღირებულებას. უფრო მაღალნაყოფიერად და რენტაბელურად მუშაობს მესამე საწარმოო უბანი, სადაც პარტიული ბიუროს წევრი ა. დვალაშვილი საქმიანობს.

ეს ერთიული შემთხვევა როდია. პარტიული ბიუროს წევრი ა. დვალაშვილი თანამშრომას იჩენს, სპეციალისტებთან მონაწილეობს პარტიული ბიუროს თუ პარტიული კრებებისათვის საკითხების მომზადებაში, საქმიანი შენიშვნებით გამოდის კრებებზე, აქტიურობს პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობაში. მოწინავე ინჟინრებთან პ. ლომიძესთან, გ. გოშაძესთან, ვ. გელაშვილთან, ნ. პაპიძესთან ერთად მოამზადა წარმოების კულტურის ამაღლებისა და უშიშროების ტექნიკის დაცვის, დადგენილებათა შესრულების შემოწმების, ახალი ტექნიკის გამოყენებისა და მექანიზმების მოვლა-პატრონობის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლების საკითხები. იგი არა მარტო საკითხების შესწავლა-მომზადებაში მონაწილეობს, არამედ თავის დასაბუთებულ მოსაზრებებსაც გამოთქვამს პარტიულ კრებებზე, რასაც გარკვეული კეთილსაყოველი შედეგი მოსდევს.

მაღაროში მადნის ნედლეულის ხარისხი გაუარესდა. ზოგმა მაღაროელმა უგულებელყო მარგანეცის პირველადი გამდიდრება, მადნიდან ფუჭი ქანების გადარჩევა. ასეთი დაუდევრობა ერთობ ძვირად დაუჯდა წარმოებას. ამით გადატვირთული იყო ტრანსპორტი, მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესი, წუნდებულ პროდუქციასაც უშვებდნენ...

პარტბიუროს წევრმა ა. დვალაშვილმა, რომელიც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების პარტიულ კონტროლის კომისიის წევრიც არის, ხელმძღვანელ ამხანაგებთან დააყენა საკითხი და მოითხოვა მადნის პირველადი გამდიდრების გადაჭრით გაუმჯობესება. ბიუროს (მდივანი ს. სხირტლაძე) საქმეში ინჟინრების, ტექნიკოსების, ეკონომიკოსების ჩარეკვით საფუძვლიანად შეისწავლა საკითხი და პარტიული კრების მსჯელობის საგნად გახადა. საქმიანი სარჩევასის შემდეგ ღონისძიებები დაისახა. კომუნისტების აქტიური მონაწილეობით ეს ღონისძიებანი ქაღალდზე როდი დარჩენილა, პრაქტიკულად განხორციელდა: მაღაროს საწარმოო უბნებში დაინერგა მარგანეცის ფენების სელექციური აფეთქება-გამოღება, ფუჭი ქანის რიულ ელექტროსატვირთ მანქანას. იგი თვალისჩინივით უფლის მექანიზმს, ასუფთავებს, ზეთავს, არემონტებს მას. მანქანაც არ ღალატობს დოსტატებულ მემანქანეს. საუშაო დროის გონივრული გამოყენებით ტექნიკა მის ხელში იმის მაქსიმუმს იძლევა, რისი მოცემაც შეუძლია. ა. დვალაშვილი ცვლაში 10-15 ტონა ზეგეგმითს მარგანეცს იძლევა. პირადი შვიდწლიანი გეგმა ხუთ წელში შესრულდა და დიდი ხანია კომუნისტური შრომის დამკვრელია. იგი უნივერსალური მაღაროელია: ჩინებულად მართავს ელმავალს, სასკრეპერო დანადგარს, იცის რეინიგზელობა, მებიგეობა. მოწინავე კომუნისტი დაუღალავად იფართოებს პოლიტიკურ-ტექნიკური ცოდნის ჰორიზონტს — სწავლობდა პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, დაამთავრა ტექნიკური სწავლების კურსები. აქვს კარგი პირადი ბიბლიოთეკა, სადაც ნახავთ მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებს, მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებებს, ტექნიკურ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, ა. დვალაშვილი მაღაროს ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარიც არის.

პარტბიუროს წევრი ა. დვალაშვილი მარტო თვითონ როდი მუშაობს კარგად, ცდილობს გაიყოლიოს ამხანაგები, გაუზიაროს მათ საწარმოო გამოცდილება. მან მადნის ელექტროსატვირთი მანქანის მართვა შეასწავლა ს. დეკანოიძესა და ე. მაჯარაშვილს, რომლებიც ახლა წარმატებით მუშაობენ.

მაღაროელი კომუნისტი ა. დვალაშვილი ინიციატივიანი, უნარიანი და ახლის მაძიებელი ადამიანია. იგი ბევრი კარგი საქმის წამამწყები და პირადი მაგალითის მაჩვენებელია. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ყველაფერი როდი აქვს გაკეთებული. და რადგან ეს შეგნებული აქვს, უფრო შინაარსიანად, შეუპოვრად შრომობს როგორც კომუნისტი, პარტიული ბიუროს წევრი, რომ დიდი ნდობა კვლავაც გაამართლოს.

პ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ა. დვალაშვილი.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ, ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲝ!

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლისათვის ბევრი რამ გასაკეთებელია ქალაქის სკოლებში. კაპიტალურად უნდა შეკეთდეს სასკოლო თოთხმეტი და სამაგვარი ბალის ოთახი შენობა. ამ საქმეზე 105 ათასი მანეთი იხარჯება. წელს უნდა დამთავრდეს მესამე საშუალო სკოლაზე საკლასო ოთახების მიშენება. იქ მეცადინეობა ეწყო ცვლად ექნებ. დაიწყება მეთხუ საშუალო სკოლის გაფართოება და მას 20 კალასო ოთახი შეემატება. სერიოზულია სამუშაოები უნდა შესრულდეს ქვალითის საშუალო, ალავერდისა და ილმის რეკნლიან სკოლებში. მიმდინარე რემონტი უნდა გაეკეთდეს აგრეთვე 44 სასკოლო და სამ საბავშვო ბაღის შენობას.

წარმატებით მიმდინარეობს ქალაქის მესამე საშუალო სკოლაზე ოთახების მიშენება, რასაც „ზესტაფონმშენის“ სამმართველო (უფროსი ს. მახათაძე) აწარმოებს. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო შენობების შეკეთება ქალაქის პირველ, მეორე, სვირის, ძირულის საშუალო სკოლებში.

მაგრამ ყველგან როდი ეკიდებიან მბრუნველობით ამ საგანიანშეიო 15 ივლისისათვის შეკეთება დაწყებული არ იყო კვალთის საშუალო, ცხარაწყაროს, ალავერდის, პირველი სვირის, ილმის რვაწლიან, ძლიერდანეთისა და ქვეელეთუბნის დაწყებითს სკოლებში. სავალალო მდგომარეობაშია სოფელ წიფლავაკის დაწყებითი სკოლა. საბუხარია, რომ სასოფლო საბჭოების და კოლმეურნეობების მესვეურები ნაკლებად ზრუნავენ სკოლებისათვის და სწავლა-აღზრდისათვის. სკოლების კეთილმოწყობით ისინი სისტემატრიცეულად უნდა დაინტერესდნენ. რატომ აკავწყდებათ, რომ სკოლებში მათი შვილები სწავლობენ?

სამუშაოებს ერთობ აგვიანებს საკოლმეურნეობათა თანშორისო მშენებლობის რაიონული საბჭო. თუ მან მუშაობა არ გააძლიერა, ბევრი სკოლა მოუმზადებელი შეხვდება ახალ სასწავლო წელს.

რაიონის სკოლებს ზამთრისათვის ესაჭიროებათ 3.000 კუბმეტრი შეშა და 700 ტონა ქვანახშირი. ამაზე ბევრ კოლმეურნეობას, სასოფლო საბჭოსა და საწარმოს დღემდე არც უფიქრიათ და თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. 15 ივლისისათვის სკოლებში მიზიდული უნდა ... მხოლოდ 200 ტონა-ქვა ... შირი. სკოლების ... უზრუნველყოფას ... ადგილ-ადგილ არ მოკავდეს ხელი, შემდეგ გვიან იქნება.

შედარებით უკეთ მიმდინარეობს სასკოლო ინვენტარის შეკეთება. სკოლებს წელს შეემატება 300 ახალი მერხი, 90 კარადა, 20 მაგიდა, 200 სკამი, დამატებით მიიღებენ 300 მერხს, 200 დაფას, სკამებს და სხვ. სასკოლო კაბინეტ-ლაბორატორიები შეიავსო 15.208 მანეთის ნელსაწყო-იარაღებით. მაგრამ ზოგი სკოლა ამის შეძენასაც აგვიანებს. ყველა სკოლის დირექტორი მოვალეა დროულად და მოლოდინად აიოვისოს ამ მიზნით გამოყოფილი თანხები.

ორორიდ სიტყვა სახელმძღვანელოების შესახებ. მართალია, ამ მიმღებული ყველა სახელმძღვანელოებით! ბევრმა სკოლამ შეაგროვა ნახმარი სახელმძღვანელოები, მაგრამ ამაც სერიოზულ უხერხულობას აწყდებიან: ზოგიერთი სახელმძღვანელო ძალიან ულიერად არის ნახმარი, ეს მოსწავლეთა დაუდევრობა-უკულტურობის მაჩვენებელია. ეს არც მშობლების მისამართით ლაპარაკობს კარგს. სახელმძღვანელოს ყველა ფაქიზად უნდა ხმარობდეს.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყოველი დღე, ყოველი შესაძლებლობა, აღმოფხვრან ნაკლოვანებები და პირველ სექტემბერს ყოველმხრივ მზად შეხვდნენ.

სასკოლო მშენებლობა
— ყურადღების უნაკლო

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘ...

ახალი სასწავლო წელი კარზეა მომდგარი. მოსალოდნელი იყო, რომ № 6 სამშენებლო ტრესტი ყოველ ძალას იხმარდა წელს მაინც გაღებულიყო გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის ახალი შენობის კარი მოსწავლეთათვის. იგი ხომ მეოთხე წელია შენდება და ამდენივე სასწავლო წელია მოსწავლეები ნაქირავებ შენობებში სწავლობენ. ჯერ ამ სკოლის შენობის რეკონსტრუქცია იყო გათვალისწინებული, მაგრამ მუშაობის პროცესში შენობა დანგრეულა და მაშინ გადაწყვეტილათ ხელახლა აშენება. აქ ძველი შენობის ერთი კედელია დარჩა.

იელისი უკვე იწურება, მაგრამ მშენებლობას ბოლო არ უჩანს. აქ დიდძალი სამუშაოა. სადურგლო და სამღებრო სამუშაოებია დარჩენილი. ახლა სკოლის ეზოს გაწმენდა-კეთილმოწყობას, მინების ჩასმას, ელექტროგაყვანილობას და სხვა სამუშაოებს ხომ დრო დასჭირდება!

— მოვასწრებთ. მე, როგორც ინჟინერი, გარწმუნებთ ამაში! — დამშვიდებით ამბობს № 6 ტრესტის მთავარი ინჟინერი ე. ბადალოვი. მაგრამ ასეთი დამამშვიდებელი დაპირებები მეოთხე წელია გაისმის გუდაუთაში და რა გარანტია გვაქვს, რომ მას წელს შეასრულებენ!

საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის ბიუროომ სპეციალურად განიხილა ამ მშენებლობის დაჩქარების საკითხი, ბიუროს გადაწყვეტილებაში № 6 ტრესტის გუდაუთის სამუშაოთა მწარმოებელს ვ. თარკილს დაევალა სასწრაფო ზომები მიიღოს აღნიშნული სკოლის მშენებლობის 15 აგვისტოსათვის დასამთავრებლად.

და „ზომებიც მიღებულ იქნა“!.. მეორე დღესვე ვ. თარკილმა მებათვალთა ბრიგადა რვა კაცის შემადგენლობით ამ ისედაც ჩამორჩენილი ობიექტიდან მოხსნა და პერის საცხობის მშენებლობაზე სოფელ პრიმორსკოეში გადაიყვანა (!). გაუგებარია, ვისი „განკარგულებით“ მოხდა, მაგრამ ეს კერიოზული ფაქტი ალმაშფოთებელია.

ჯერ ერთი, სკოლის მშენებლობაზე შეწყდა საბათქაშო სამუშაოები, მეორეც — ეს მდგომარეობა თავის მხრივ ამუხრუჭებს სხვა სამუშაოების შესრულებას. კიდევ უარესი. ეს ასამოშავებელი ობიექტი საშენ მასალათა ნაკლებობას განიცდის. ამიტომაც მშენებლები ... ბეტონი ... ბეტონია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კოეფის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გაიცეს გეგმის ზევით მიღებული მოსავლის ღირებულების 50-დან 65-მდე პროცენტი.

სოფლების მოკლებული და წარმოებისათვის მიუღებელია ავტორის მიერ წამოყენებული ნინადადება იმის შესახებ, რომ მეორე ხარისხის ფოთლის კრეფაზე თითქოს ან სულ არ უნდა იყოს დაწესებული გამომშუშავების ნორმა, ან იგი ორჯერ უნდა აუმატებოდეს პირველი ხარისხის ფოთლის კრეფის ნორმას.

იმის გამო, რომ პირველი ხარისხის ჩაის ფოთლის მოკრეფისათვის გაცილებით მეტი ძირითადი ანაზღაურება ეძლევათ კოლმეურნეებს და ისინი დამატებით ანაზღაურებას ვერ მიიღებენ იმე, თუ პირველი ხარისხის ფოთლის კრეფის გეგმა არ ექნათ გადაჭარბებით შესრულებული. მკრეფავი ყოველთვის ცდილობს მოკრიფოს პირველი ხარისხის ფოთოლი, მაგრამ თუ შემთხვევით გამოელინდა დადგენილზე მეტი ოდენობის მინარევები, ან ზოგჯერ მოკრეფილი ფოთოლი პირველი კაპრიზების გამო მეორე ხარისხისა აღმოჩნდა, ასეთ შემთხვევაში არც ერთი კოლმეურნე არ იქნება მომხრე მეორე ხარისხის ფოთლის კრეფის ორჯერ მაღალი ნორმის დაწესებისა პირველი ხარისხის ფოთლის კრეფის ნორმასთან შედარებით.

სრულიად დაუსაბუთებელია მუშახელის გამოყენებისა და მისი დატვირთულობის თანამედროვე მდგომარეობის ავტორისეული ანალიზი. მართალია, მეორე წიგნში „შრომის ბალანსი“ ცალკე თავად არის გამოყოფილი, მაგრამ მასში არათუ რომელიმე მეურნეობის შრომის ბალანსი არ არის მოყვანილი, არამედ საერთოდ შრომის ბალანსის არც ერთ მაჩვენებელს ანალიზი არა აქვს გაკეთებული.

ავტორს რეკომენდაციებში არასწორი დასკვნა აქვს გაკეთებული ჩაის ფოთლის კრეფაზე. ეს ანგარიშებიც ... ...



მსახიობის გმირობა

სერგო ზაქარიაძე ცნობილია როგორც ოდიპოსის როლის გამოჩენილი შემსრულებელი თეატრში. და აი ოდიპოს მეფე ვენახებში და ომის ველებზე მოვიდა ფილმ „ჯარისკაცის მამაში". დაიხარა, ჩაჯდა, მიწას დაეკონა დიადი ფიგურა. ზეციური ნაბიჯები შეცვალა გუთნის გაყოლას მიჩვეული გლეხის მძიმე, აუჩქარებელმა სვლამ. ბეგმეგანიერი, წელში ოდნავ მოხრილი გიორგი მახარაშვილი თავისი გრძელი მძიმე ხელებით მოგვაგონებს მშობლიურ მიწაში ღრმად ჩამჯდარ კვანძიან ძველ ფესვს. იგი მთლად მიწის ნაშობია—აუჩქარებელი, სიტყვაძუნწი, გარკვეული.

რეჟისორი რ. ჩხეიძე და მსახიობი არ აპყენენ ცდუნებას ეჩვენებინათ მოუქნელი სოფლელი მოხუცის გარდაქმნა ყოჩაღ ჯარისკაცად, სუვოროვისეულ დევგმირად. არა, ჯარისკაცული პილოტურითა და ჩექმებითაც იგი ისევე თვითმყოფი და ხალხური, ისევე კომედიური და ამადელვებელია, და ისევე „მამას" უწოდებენ მას ჯარისკაცები.

ფინალში საბოლოოდ ხვდები მსახიობის თავშეკავების ძალას, მის გულჩათხრობილობას ფილმის პირველ ნაწილებში. დიახ, ბოლოდან დაწყება იყო საჭირო ამ სცენის გრძნობათა გავარვარებული ტემპერატურის გადმოსაცემად, მოხუცის გაშმაგებისა და მწუხარების ძალის გასაზომად, როცა იგი, რომ მიხვდება, ჩემი შვილი მოუკლავთო, წამოიჭრება უკანასკნელი იერიშის მისატანად.

აჩრი ნათელია, სიტუაცია ახალი არ არის, სიუჟეტი მარტივია. მაგრამ ცნობილი რამ კვლავ ამადელვებელი რომ გახადოს, უბრალო ჭეშმარიტებათა მთელი სიღრმე და სიდიადე რომ გამოხატოს — ეს მხოლოდ დიდ ხელოვანს ძალუძს.

ასეთად გვიჩვენა თავი სერგო ზაქარიაძემ ფილმ „ჯარისკაცის მამაში".

„იზვესტია".

ვლეხმა გიორგი მახარაშვილმა (სერგო ზაქარიაძე) — „ჯარისკაცის მამის" გმირმა — მტკიცედ იცოდა ყოველი სამუშაოს ვადა: გაზაფხულის წვიმებმა გადაიარა — და მიწა ელის, როდის შეეხება მას ბასრი სახნისი. ხვნა დამთავრდა — და აი უკვე გულგადაწყვეტილი მიწა თხოულობს, რომ თესლი მიაბარონ.. ნათესი ამოიწვერა — და გლეხს კვლავ ესმის მიწის ძახილი.

და ასეთი სამუშაო, გადაუდებელი, მთელი ძალღონისა და უნარის მომთხოვნი, გახდა ახლა გიორგისათვის ომი. მას უნდოდა თვითონ გაეთავისუფლებინა თავისი მიწა მტრისაგან, თავისი ხელით დაებრუნებინა თავისუფლება მშობლიურ მინდვრებისათვის.

ასე აფასებს პრესა სერგო ზაქარიაძის ხელოვნებას

◆

და საკმარისია გაიგონოთ, რაგორ ეუბნება ყუმბარების გრიალში ეს ადამიანი თავის [illegible] ასეთ ჩვეულებრივ სიტყვებში შემდეგ ლესა. ჯერ ბანა — მერე თესლი ხვნა-თესვა [illegible] ბუნების მთელი სიღრმე.

როგორ გამოუცვნია მსახიობ სერგო ზაქარიაძეს ეს განუმეორებელი ინტონაცია, ნაზი, თითქმის დედობრივი ღიმილი გლეხისა, რომელიც მიწას ელაპარაკება, მხრების ეს ბედნიერად მოშვება! იმდენი სიწმიდე და სიწყნარეა მის გმირში, იმდენი დაჯერებული ძალა და სამართლიანობა, რომ ფიქრი სიცოცხლის დაუსრულებლობაზე. დაუშრეტელობაზე ხელშესახები, ნივთობრივი ხდება...

არ ეღირსათ შეხვედრა ჯარისკაცსა და ჯარისკაცის შვილს. მამამ იპოვნა თავისი გოდერძი. სახელგანთქმული ტანკისტი, რომ გმირისათვის თვალი დაეხუჭა. და აქ, დაღუპულ შვილთან გამოთხოვების სცენაში, ზაქარიაძე გვიჩვენებს ხალხის მიერ გადატანილი უბედურების მთელ უფსკრულს.

„ლიტერატურნაია როსია".

* * *

ჩვენი სასიქადულო მსახიობი სერგო ზაქარიაძე ფესტივალის დღეებში საყოველთაო ყურადღებით იყო მოცული. აი ასლაც სურათზე თქვენ მას ხედავთ მეგობრებით გარსშემოხვეულს — ისინი კუბელი მსახიობები არიან სონი კალმრი და დაიხი ბრანდლსი (მარჯვნივ).

საერთაშორისო ცხოვრება

რუმინელ კომუნისტთა ყრილობა

გუჟარესტი, 21 ივლისი. (საკადესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, რუმინეთის კომპარტიის IX ყრილობაზე მოხსენება — ყრილობის დირექტივები ენერგეტიკის განვითარების ათწლიანი გეგმის შესახებ — გააკეთა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ კიევ სტოიკამ.

ყველა სამეურნეო გეგმაში, თქვა მომხსენებელმა, ჩვენი პარტია და სახელმწიფო უზრუნველყოფდნენ ენერგიის წარმოების ზრდის დაჩქარებულ ტემპს.

1951-1965 წლებში ელექტროენერგიის წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 15 პროცენტს, მთლიანად სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი კი — 13,3 პროცენტს.

1966-1975 წლების ათწლიანი გეგმა, აღნიშნა შემდეგ კიევ სტოიკამ, ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია ქვეყნის ენერგეტიკული ბაზისა და ელექტრიფიკაციის განვითარებაში. იგი აგრძელებს პარტიის გენერალურ ხაზს, რომლითაც გათვალისწინებულია მთელი ეროვნული რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაცია, რათა დაეკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილება ენერგიაზე. ათწლიანი გეგმის ამოცანების განხორციელება გამოიწვევს დიდ ძვრებს ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურაში. მაგალითად, ენერგიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება უახლოეს წლებში ქვანახშირის, პიდროენერგიის, ატომური ენერგიის წილი.

ინტენსიურად იყენებს რა საწარმოო ძალების განვითარებისთვის არსებულ შესაძლებლობებს, თქვა მომხსენებელმა, ჩვენი ქვეყანა ამავე დროს განუწყვეტლივ აფართოებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ყოველმხრივ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ თანამშრომლობას.

ბუქარესტი, 21 ივლისი. (საკადესი). ბუქარესტში მუშაობას განაგრძობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. დღევანდელი დილის სხდომა გახსნა პეტრუ ბორილემ. მან სიტყვა მისცა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს გეორგე აპოსტოლს, რომელმაც გააკეთა მოხსენება რუმინეთის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტის შესახებ.

დღეს რესპუბლიკის სასახლის ცისფერ დარბაზში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობას გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საჩუქარი მოდელი კოსმოსის დამპყრობთა მონუმენტისა, რომელიც მოსკოვში დგას.

ფესტივალის მონაწილენი თბილისში

მოსკოვში მუშაობა დაამთავარა IV საერთაშორისო კინოფესტივალმა, მაგრამ ის გრძელდება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში — ლენინგრადში, კიევში, მინსკში, თბილისში. ფესტივალის მონაწილენი ამ ქალაქების ფართო მაყურებელს გააცნობენ მოსკოვში წარმოდგენილ საუკეთესო ფილმებს, შეხვდებიან ადგილობრივ კინემატოგრაფისტებს, გამართავენ დისპუტებს, ერთმანეთს გაუზიარებენ შემოქმედებითს გეგმებს. ფესტივალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი გუშინ დამით ჩამოვიდა თბილისში.

სპორტის სასახლეში თბილისელი კინომოყვარულები შეხვდებიან მოსკოვის IV საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეებს, ნახავენ ფესტივალზე წარდგენილ საუკეთესო ფილმებს: „ძმრწინება იტალიურად" (იტალია), „დოლარი" (საფრანგეთი), „ბიმბა თმრმას ჰოსი" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), „ბანდიტმრი" (არგენტინა), „ვერნერ ხოლტის თავგადასავალი" (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), „სანბამი" (ინდოეთი), „ნებართვა ქორწინებაზე" (ბულგარეთი), „ბავშვასხმა" (ჩეხოსლოვაკია) და ფრანგულ კონკურსგარეშე ფილმს „ანდმლიკა — ანგელოზების მარკიზი".

ფილმების ჩვენება დღეს იწყება და 25 ივლისამდე გაგრძელდება.

◇

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ცნობილი იტალიელი კინომსახიობი ლუჩია ბოზე, რომელიც მოსკოვის კინოფესტივალს ესწრებოდა. მასთან ერთად მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ლუჩია ბოზეს მეუღლე სახელგანთქმული ესპანელი ტორეადორი ლუის მიგელ დომინგინი, იმპრესარიო პედრო როდრიგესი და ჟურნალისტი ანტონიო ორლანო. თბილისის აეროპორტში ტელეკამერას შეხვდნენ ქართველი კინემატოგრაფისტები.

„კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში **ლუჩია ბოზემ** განაცხადა:

— მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც მიმდინარეობდა დღევანდ „კინოხელოვნების პუმანიზმი-სათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის", მნიშვნელოვანი მოვლენაა მსოფლიო კინემატოგრაფიის ცხოვრებაში. უნდა გამოვიტყდეთ, რომ ფესტივალის მიმდინარეობისას მე ძირითადი დრო შეხვედრებსა და შემოქმედებით დისკუსიებს დავუთმე და, რა თქმა უნდა, ფილმების ნახვას ვერ ვახერხებდი.

ფილმის ნახვა ხომ ყოველთვის შეიძლება, შეხვედრები და ურთიერთგაცნობა კი არც ისე იოლია. მაგრამ ფილმი „ომი და მშვიდობა" ვნახე და ძალიან მომეწონა. გულწრფელად ვუსურვებ ამ ფილმის ავტორებს ბრწყინვალე გამარჯვებას და დიდ პრიზს, რომელიც სამართლიანად დაიმსახურეს. თბილისში პირველად ვარ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში მინდა გავეცნო თქვენს ქვეყანას, კულტურას. დიდი სიამოვნებით ვნახავ დოკუმენტურ ფილმებს საქართველოზე. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნება, თუ საშუალება მომეცემა ახლო გავეცნო ქართველ კინომსახიობებს, მათს შემოქმედებას.

ესპანეთის საგარეო საჯარო საზოგადოების წარმომადგენელმა, იმპრესარიო პედრო როდრიგესმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ რა არის მისი ჩამოსვლის მთავარი მიზანი, გვიპასუხა:

— როგორც ცნობილია, ესპანეთი დღემდე საბჭოთა ფილმებს არ იღებდა. ამჟამად მიღწეულია შეთანხმება და მომდინარე წლის ოქტომბრიდან ესპანელი მაყურებელი ნახავს საბჭოთა ფილმებს „დონ კიხოტს" და „ჰამლეტს". ასევე განზრახული გვაქვს შევიძინოთ კიდევ ათი საბჭოთა ფილმი. მათ შორის ორი ფილმი უკვე შერჩეული გვაქვს. ესენი გახლავთ „ბალადა ჯარისკაცზე" და „ჯარისკაცის მამა".

დიდად კმაყოფილი ვართ ქართველების გულითადი შეხვედრით.

სურათზე: ფესტივალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ქართველ კინემატოგრაფისტებთან თბილისის აეროდრომზე. მარცხნიდან — ანტონიო ორლანო, პედრო როდრიგესი, ლუი მიგელ დომინგინი, ლუჩია ბოზე, სიკო დოლიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საერთაშორისო ცხოვრება

კიდევ ერთი ნაგიჯი

კამპალა, 20 ივლისი. (საკადესი). გაგანტურმა კოსმოსურმა სამეცნიერო სადგურმა „პროტონ-1"-მა კიდევ ერთი ნაბიჯი დაუხლოვა საბჭოთა კავშირი იმას, რომ კოსმონავტები გაგზავნოს მთვარესა და სხვა პლანეტებზე. წერს დღეს გაზეთი „უგანდა არგუსი".

შენიშვნაში, რომელსაც სათაურად წამძღვარებული აქვს „რუსეთმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მთვარისაკენ", გაზეთი მიუსალმება საბჭოთა კოსმოსური მეცნიერების ახალ მიღწევას.

სხვა გაზეთები, აგრეთვე რადიო და ტელევიზია, აღნიშნავენ, რომ სადგურ „პროტონ-1"-ი დიდი წონა აქვს.

ᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲔᲜ ᲝᲛᲡ

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკადესი). „ომი სამხრეთ ვიეტნამში ძალიან ცუდად მიმდინარეობს, და ამერიკის პოლიტიკის მესვეურებს აღარ მიაჩნიათ, რომ მარტო სამხრეთ ვიეტნამის არმია შეძლებს ძოგეერიოს ვიეტკონგის შემოტევა", — წერს უკანასკნელ ნომერში ჟურნალი „ლაიფი". პენტაგონი კი თავის ცხობებში ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ ამტკიცებდა, სამხრეთ ვიეტნამის ჯარის ზარალი უფრო ნაკლებია, ვიდრე პარტიზანთა ზარალი. „ლაიფი" არ ეთანხმება ამ დამაიმედებელ ცხობებს. იგი ხაზს უსვამს, რომ „სამხრეთ ვიეტნამის ჯარის შენაერთებს ძაიმე ზოგიერთ ქვეგანაყოფში 60 პროცენტს მდგომარეობა რომ გამოასწოროს, ვაშინგტონი იძულებულია გაადიდოს თავისი ჯარების რიცხვი ვიეტნამში და ამას შვრება, უმთავრესად, თავის რეზერვისტთა რიცხვის გადიდებით. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, რომ 1 აგვისტოს დაიწყება ამერიკელ რეზერვისტთა გაწვევა და ახალწვეულთა გაყვანა ფლოტში. გაზეთს მოაყავს ცხობები, რომ მარტო ვაშინგტონის რაიონში და მერილენდისა და ვირჯინიის შტატების საგარეუბნოებში, რომლებიც ამ რაიონს აკრავს, 25 ათასი რეზერვისტი მზადაა გასაწვევად.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ ᲣᲢᲔᲕᲔᲜ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკადესი). ამერიკის პირველი ქვეითი დივიზიის მეორე ბრიგადას, რომელიც ათი დღის წინათ ჩავიდა სამხრეთ ვიეტნამში, სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები უკვე სამი დღეა უშენენ ნაღმსატყორცნების ცეცხლს, იუწყებიან ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები საიგონიდან. ცნობებში აღიარებულია, რომ ბრიგადას მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკადესი). „ვითარება კვლავ სერიოზულია. მასშემდეგ, რაც 15 თვის წინათ უკანასკნელად ვიუკვი აქ, მდგომარეობა მრავალმხრივ გაუარესებულა".

ეს განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკნამარამ, როცა ბრუნდებოდა საიგონიდან ხუთი დღის „საინსპექციო" მოგზაურობის შემდეგ სამხრეთ ვიეტნამში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იუწყება, მაკნამარამ განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებში დაბრუნებისთანავე პრეზიდენტ ჯონსონს მოახსენებს თავისი მოგზაურობის შედეგებს და ურჩევს, რომ შეერთებულმა შტატებმა „შეასრულონ თავიანთი ვალდებულება" სამხრეთ ვიეტნამის მიმართ.

ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ვაშინგტონი, 21 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა დღეს ღილით სამხრეთ ვიეტნამიდან ვაშინგტონში დაბრუნდა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო.

გ ო ლ დ ბ ე რ გ ი ᲡᲐᲛᲘᲕᲔᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი **ლ. პონომარიოვი** გვატყობინებს:

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეტი წილი პოლიტიკოსებისათვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გადასცემენ ედელი სტევენსონის ნაცვლად შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი არტურ გოლდბერგი. ბევრმა არც კი იცოდა, რომ პრეზიდენტისათვის წარდგენილ სიაში შეტანილია ისეთი კაცის სახელი, რომელსაც არასოდეს არ ჰქონია უმაღალ კავშირი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკასთან. 56 წლის ჩიკაგოელმა ადვოკატმა, როცა პრეზიდენტ კენედის დროს შრომის მინისტრი იყო, დარჩკვიდრა მთავრობის დახელოვნებული შუამავლის სახელი, მოლაპარაკებები პროფკავშირთა ხელმძღვანელებთან და მეწარმეებთან ეროვნული მასშტაბის გაფიცვების მოწყობის თავიდან აცილებელად.

გოლდბერგი, რომელიც პრეზიდენტმა ცეხედომ უმაღლესი სასამართლოს წევრად დანიშნა, შედიოდა უმაღლესი სასამართლოს ხუთი წევრისაგან შემდგარ ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ ჯგუფში, რომელიც უპირისპირდებოდა ამჟარა კონსერვატორთა ჯგუფს, რომელშიც ოთხი მოსამართლე იყო. ლიბერალურ ჯგუფში ყოფნამ აგრეთვე ხელი შეუწყო მისი პრესტიჟის ზრდას.

ამერიკელი მამმოხილველები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუდმივი წარმომადგენლის პოსტი ამერიკის დიპლომატიის ერთ-ერთი ეველაზე ძნელი უბანია, ხოლო განსვენებული ე. სტევენსონის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამერიკელ დიპლომატს, რომელსაც ეს პოსტი უკავია, ხშირად უხდება თავისი შეხედულებებისა და მოწადინების მიუხედავად დაიცვას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედება და პოლიტიკა, რომლებიც მთელი მსოფლიოს გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევენ.

კორესპონდენტთა შეკითხვაზე, ეთანხმება თუ არა ჯონსონის პოლიტიკას, დღეს ა. გოლდბერგმა უპასუხა, რამდენადაც მთავრობის წევრი გავხდი, ეს უკვე თავისთავად იგულისხმებაო. მაგრამ აქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ დათანხმდა ეს პოსტი დაეკავებინა „პრეზიდენტის თხოვნით".

ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐ

ლონდონი, 21 ივლისი. (საკადესი). ინგლისის პარლამენტის ლორდთა პალატამ გუშინ მოიწონა ინგლისში სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონპროექტი, რომელიც წარსულ კვირაში მიიღო თემთა პალატამ. კანონპროექტს ხმა მისცა 204 დეპუტატმა, წინააღმდეგ — 104-მა.

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სოფია, 21 ივლისი. (საკადესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ბულგარეთში სტუმრად არის ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. კადირის მეთაურობით. დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციასთან, რომელსაც ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მდივანი ლ. ავრამოვი მეთაურობდა, ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.

მოლაპარაკებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

პარიზი, 21 ივლისი. (საკადესი). იემენის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა აბდალა ას-სალალმა გუშინ ხელი მოაწერა დეკრეტს ამ ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იტყობინება, კაბინეტს მეთაურობს პრემიერ-მინისტრი ჰასან ალ-ომარი. კაბინეტის შემადგენლობაში შეეკრა ორი ვიცე-პრემიერი და 16 მინისტრი.

წინა მთავრობა ნუმანის მეთაურობით 1 ივლისს გადადგა.

ᲡᲘᲠᲘᲠᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡᲕᲚᲐ

ტოკიო, 21 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი **ი. ვდოვინი** გვატყობინებს:

მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში ხიროსიმის სხიეური ავადმყოფობით დაავადებულთა ჰოსპიტალში გარდაიცვალა 38 კაცი. ყველანი მსხვერპლნი გახდნენ ამერიკის მიერ ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვისა.

ამჟამად ჰოსპიტალში მკურნალობს 162 კაცი.

ხიროსიმის ჰოსპიტლის არსებობის 9 წელიწადში ექიმებმა გასინჯეს 204 ათასზე მეტი კაცი, რომლებიც დაავადდნენ ატომური დაბომბვის შედეგად.

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ყარაჩი, 20 ივლისი. (საკადესი). პაკისტანში დაიწყო ფართო საპროტესტო კამპანია იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს გადადონ პაკისტანისათვის ეკონომიური დახმარების გაწევა, რასაც პაკისტანს დაპირდნენ მესამე ხუთწლიანი გეგმის (1965-1970 წლები) შესრულებისათვის. პაკისტანის შეიარაღებული პოლიცია იცავს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკის წარმომადგენლობებს ყარაჩსა და სხვა ქალაქებში.

დღეს ყარაჩის მოქალაქეთა კომიტეტმა დემონსტრაცია გამართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობასთან, რათა ყველა პაკისტანელს სახელით აღშფოთება გამოეთქვა იმის გამო, რომ უარს უუბნებიან პაკისტანისათვის დაპირებულ ვადაში დახმარების გაწევაზე დასავლეთის ცხრა სახელმწიფოს კონსორციუმის ხაზით, რომელშიც მთავარ როლს შეერთებული შტატები ასრულებენ.

სამხრეთი ვიეტნამი. ხაიგონის სტუდენტებმა და მოსწავლეებმა სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში ამერიკელ იმპერიალისტთა ჩარევის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს. მოითხოვეს შეწყდეს ომი და რეპრესიები პატრიოტების წინააღმდეგ. პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა დემონსტრაცია გაფანტეს.

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

ფოტო ვია-საკადესისა.

„ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲠ-4"-ᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ნიუ-იორკი, 21 ივლისი. (საკადესი). ამერიკის საკოსმოსურ-ინტერპლანეტურ კოსმოსურმა სადგურმა „მარინერ-4"-მა დღეს დილით დაამთავრა პლანეტა მარსის მე-14 ფოტოსურათის გადმოცემა. იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტო. უკანასკნელი, 21-ე ფოტოსურათის გადმოცემა დამთავრდება უახლოეს შაბათს. პასადენის რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის დირექტორმა უ. პიკერინგმა განაცხადა, რომ ყველა ფოტოსურათის მიღების შემდეგ განზრახულია მიხაელ „მარინერ-4"-ს განმეორებით გადფოსცეს კოსმოსი.

„მარინერის" პროგრამის ხელმძღვანელმა რეაქტიული ძრავების ლაბორატორიაში დ. შნაიდერმანმა განაცხადა, რომ რამდენიმე საინფორმაციო საგენტოს ცნობა, თითქოს მეცნიერებს მარსზე აღმოჩენილი ფორმა მცენარეთა სიცოცხლისა, ცხოველებისა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. „გადმოცემულ ფოტოსურათებზე ჩვენ ვერ ვიპოვეთ რაიმე ნიშანი სიცოცხლისა — ვერც მცენარეთა, ვერც ცხოველთა სიცოცხლისა, — თქვა მან, — ჩვენ აგრეთვე არასოდეს არ გვიფიქრია, რომ შევძლებთ იმდენად მივუახლოვდეთ პლანეტას, რომ აღმოვაჩინოთ სიცოცხლის რაიმე ნიშანი".

ᲑᲠᲘᲒᲐᲚᲘ, ᲨᲢᲝᲠᲛᲘ, ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ

ჩილის ნავსადგური ვალპარაისო დაეტლია შტორმის გამო, რომელიც ქვეყნის ცენტრალური ნაწილის ნაპირებთან ბობმკრობს. როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, 16 გემი, რომლებიც ნავსადგურში აპირებდნენ შესვლას, ისევ ღია ზღვაში გაბრუნდა. ქარის სიჩქარე საათში 50 მილს აღწევს.

სანტიაგოს ზოგიერთი რაიონიდან ევაკუირებულია მოსახლეობა. ქარი ქალაქში ანგრევს კედლებს და ძირფესვიანად თხრის ხეებს. მიღებულია ცნობები, რომ სანტიაგოდან 160 კილომეტრზე ჩრდილოეთით ძლიერ თოვს.

დასავლეთ გერმანიის სამ მხარეში კოკისპირული წვიმების შედეგად დიდი წყალდიდობაა. ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო საქსონიის სამხრეთ და ჰესენის ჩრდილოეთ რაიონებში დატბორილია ასობით სოფელი. წინასწარი ცნობებით წყალდიდობის ოლქებში დაიღუპა 11 კაცი. სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი შეფასებულია 150 მილიონ მარკად. დაგნრეულია 24 ხიდი, გადაგრილი და წყლეკილია მრავალი გზატკეცილი და რკინიგზის ხიდი.

რუმუნეთ რეიტერის საგენტო იუწყება, ავსტრალიის შტატ ახალ უელსში ზედიზედ რამდენიმე დღეს კოკისპირულად წვიმდა. კალაპტრიდან გადმოვიდა მდინარე რიჩმონდი და დატბორა 20-ათასიანი ქალაქი ლისმორი. შტატ კვინსლენდის სამხრეთ ნაწილში შტორნისა და კოკისპირული წვიმების შედეგად დაგნრეულია მრავალი სახლი. მდინარეებმა გადმოლახეს ნაპირები და დატბორეს გზები, წალეკეს ხიდები. მთელ რიგ ქალაქებს წყალდიდობა ემუქრება.

ᲛᲐᲙᲜᲐᲛᲐᲠᲐᲡ ᲕᲝᲘᲐᲟᲘ

ვაშინგტონი, 20 ივლისი. საკადესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება:

უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი რ. მაკნამარა სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს ასრულებს ამერიკის მთავრობის გაერთიანებულ საერ ერების ორგანიზაციაში დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი არტურ გოლდბერგი. ბევრმა არც კი იცოდა, რომ პრეზიდენტისათვის წარდგენილ სიაში შეტანილია ისეთი კაცი, ...

ᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲔᲜ ᲝᲛᲡ

ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲖᲗᲝ ᲐᲒᲐᲛᲑᲔᲑᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ IV ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲨᲘ".

ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲘ, 21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘ). „ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲚᲘ" ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲔᲑᲘᲗ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲙᲜᲐᲛᲐᲠᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲡᲘᲗᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲯᲝᲜ ᲒᲝᲚᲓᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲑᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲑᲔᲠᲘ ᲒᲐᲖᲗᲝ ᲐᲒᲐᲛᲑᲔᲑᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ IV ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲡ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ Მ

• ლიანა ისაკაძე •

ეუოგლიურ თბილისში

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ დაახლოებით ამ ერთი თვის წინათ პარიზში, **უაკ ტიბობი და მარგარიტა ლონგის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე** ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ახალგაზრდა ქართველმა მევიოლინემ, მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა **ლიანა ისაკაძემ.** იგი ამ სახელოვანი კონკურსის ლაურეატი, პირველი პრემიისა და დიდი პრიზის მფლობელი გახდა.

გუშინ საღამოს ლიანა ისაკაძე თავის მეორე პედაგოგ პროფესორ **პეტრე ბონდარენკოსთან** ერთად თბილისში ჩამოვიდა. ლ. ისაკაძე გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსის დავით ოისტრახის კლასშია. დ. ოისტრახი მას კვირაში ორჯერ ამცადინებს, დანარჩენ დღეებში კი იგი მეცადინეობს პ. ბონდარენკოსთან, რომელიც ოისტრახის ასისტენტია.

— ერთი სული მქონდა, სანამ თბილისში ჩამოვიდოდი, — უთხრა ლიანა ისაკაძემ ჩვენს კორესპონდენტს აეროპორტში, — სადაც უნდა ვიყო და რასაც უნდა მივაღწიო, ჩემი მშობლიური თბილისი მაინც ყველაფერს მიჩრჩვნია... მინდა მალე გადავეხვიო და მადლობა ვუთხრა ჩემს ძვირფას მასწავლებელს, პატივცემულ ლეო შიუკაშვილს...

პროფესორ **პეტრე ბონდარენკოს** ვთხოვეთ ცოტა რამ ეთქვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. იგი ამბობს:

— უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივესალმო საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს. თბილისში ჩამოსვლა დიდად სასიამოვნოა ჩემთვის, მით უმეტეს ახლა, ჩემს ლიანასთან ერთად, რომელმაც ნამდვილად გვასახელა ჩვენც და თქვენც.

ლიანას გამარჯვება შემთხვევითი რადია. დავით ოისტრახმა თქვა, ამაში დარწმუნებული ვიყავიო. ლიანა უაღრესად ნიჭიერი და საოცრად შრომისმოყვარეა. მასთან მეცადინეობა დიდად სასიამოვნოა პედაგოგისათვის. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი სახით გვეზრდება ბრწყინვალე მევიოლინე, რომელიც კიდევ მრავალჯერ გვასახელებს. ძალიან მიხარია, რომ თბილისში შეკვდები და პირადად მივესალმაცა ლიანას აღმზრდელ პედაგოგს, პროფესორ ლეო შიუკაშვილს.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის საინტერესო იქნება გაიცნონ ფრანგულ პრესაში გამოთქმული ზოგიერთი აზრები ლიანა ისაკაძის შესახებ:

„ფრანს დიმანში“ — „ლიანა ისაკაძე თვრამეტი წლის ასაკში გახდა საკვეყნოდ ცნობილი მევიოლინე“.

„ფიგარო“ — „ახალგაზრდა მევიოლინემ ლიანა ისაკაძემ ბრამსის კონცერტში ცხადი ღირსებები გვიჩვენა. ქება შეასხეს მისი ხემის ტექნიკას, მოქნეულ მარცხენა ხელს და მუსიკალურ ნიჭს...

როგორც კი გაისმა ბრამსის კონცერტის საორკესტრო ინტროდუქცია, ლიანა ჩაეფლო მოქმედების ცეცხლში. შესრულება მეღავდება პირველივე ტაქტიდან, რომელიც მოკლებულია გადაჭარბებულ ვიბრაციას, უგემოვნო მოთენთილობას და სხვა „მუსიკალურ მანჭიაობას“.

„მონდი“ — „ლიანა ისაკაძე, მოკლე თეთრი კაბით კონკურსზე ყველას სჯობდა. ეს არის ძალიან კარგი მევიოლინე, ძლიერი, ვიტაკცური, განსაცვიფრებელი წონასწორობის, ფართო მონაცემების ბგერით, დროდადრო ოდნავ მოღლილნი, მაგრამ მდიდარი და დიდი შესაძლებლობის მქონე“.

სურათზე: ლ. ისაკაძე თავის პედაგოგ პ. ბონდარენკოსთან ერთად.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

იემენელები თელავში

თელავი. (საკ. კორ.). „ალაზანმშენის“ კოლექტივმა გულთბილად მიიღო თორმეტი იემენელი ახალგაზრდა, რომლებიც რუსთავის პროფესიული სასწავლებლიდან პრაქტიკის გასავლელად თელავში ჩამოვიდნენ.

ისინი მალე დაემეგობრდნენ არხის მშენებლებს. ქართველ მექანიზატორთა დახმარებით მათ ეისწავლეს ექსკავატორების, ბულდოზერების, სკრეპერებისა და სხვა მანქანების მართვა.

დასვენების დღეებში იემენელი ახალგაზრდები ეცნობიან ისტორიულ ადგილებს, მუზეუმებს. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წინანდლის, შუამთის, გრემისა და სხვა ადგილების სილამაზემ.

◆

„მოსკვიჩი-408“ — ლატარიით

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის პირობების მიხედვით თამაშდება ავტომანქანა „მოსკვიჩი-403“, რომლის ფასია 3461 მანეთი და 25 კაპიკი.

პირველი ივლისიდან ამ მარკის ავტომანქანა მოხსნილია წარმოებიდან და მის მაგივრად უშვებენ 4.500 მანეთის ღირებულების ახალ ავტომანქანას „მოსკვიჩ-408“-ს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით ის პირები, რომელთა ბილეთიებს საქართველოს სსრ 1965 წლის ფულისა და ნივთების ლატარიით მოგებად ხვდათ „მოსკვიჩი“, მიიღებენ ახალი მარკის ავტომანქანას „მოსკვიჩ-408“-ს და ამავე დროს არ გადაიხდიან ფასის განსხვავებას.

ამ ლამაზ მანქანებს უკვე იღებენ ზესტაფონელი ს. ქათამაძე, რუსთაველი ვ. გოგუაძე, თბილისელი შ. ავაქოვი და სხვ.

ავტომანქანა „ვოლგა“ მოიგო ჯოლმეურნე მ. ვალიევმა. სტუდენტმა ი. გეფდევანიშვილმა, აგრონომმა ი. კუტარაძამ მიიღეს პიანინოები და ა. შ.

წლის დასაწყისიდან უკვე ნახევარ მილიონზე მეტი სხვადასხვა მოგება გაიცა.

25 ივლისს ოჩამჩირეში გაიმართება ხაქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის ლატარიის (შეშვიდე გამოშვების) მოგებათა ტირაჟი.

ა. შტეინბერგი.

შ. მ. თაქთაქიშვილი



ქართულმა მუსიკალურმა კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, დირიჟორი **შალვა მიხეილის-ძე თაქთაქიშვილი.**

შ. თაქთაქიშვილი წარმომადგენელია საქართველოს იმ საბჭოთა კომპოზიტორების უფროსი თაობისა, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთეს საქართველოს ახალგაზრდა პროფესიული მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებისათვის.

შ. შ. თაქთაქიშვილი დაიბადა 1900 წელს ყოფილი გორის მაზრის სოფელ მვეძმო ხვითში, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ოჯახში. თაქთაქიშვილი ადრეულ გაიტაცა მუსიკამ. მუსიკალური განათლება მან დაამთავრა თბილისის კონსერვატორიაში, სადაც ვიოლინისა და კომპოზიციის კლასებში სწავლობდა.

შ. თაქთაქიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო „საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების“ (1922 წ.), აგრეთვე ქართული სიმფონიური ორკესტრის შექმნაში. მთელი რიგი წლების მანძილზე ვიოლინოს უკრავდა სიმფონიურ ორკესტრში და სხვადასხვა კამერულ ანსამბლებში, გამოდიოდა აგრეთვე დირიჟორად.

1928 წლიდან იწყება შ. თაქთაქიშვილის ფართო პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობა. 1929 წელს იგი იყო ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მისი დირექტორი და თეორიულ დისციპლინათა მასწავლებელი. 30-იან წლებში შ. თაქთაქიშვილი მუშაობდა საქართველოს რადიოს ორკესტრის დირიჟორად, ამავეკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის წითელარმიული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1937 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე დაკავებული იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, რომლის პროფესორად ... 1941 ... კონსერვატორიაში ... ...